შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ნ ა პ ი რ დ ა ც ვ ა
LTD "NAPIRDATSVA"

რეგ. №204527146 მის: ქ.თბილისი, ყიფშიძის ქ. # 4. ტელ. 599 491 600
reg.N204527146Georgia, Tbilisi kiphshidze str.N4 tel. 599 49 16 00; E-mail napirdatsva@gmail.com

12.10.2018 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მიმდინარე წლის 25 ივნისს შპს „ას ჯორჯია"-ს (ს/კ 406024270) და შპს „ნაპირდაცვა"-ს (ს/კ 204527146) შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საპროექტო ორგანიზაციამ შეადგინა მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი/საყრდენი კედლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. შემსრულებელს, ამავე ხელშეკრულებით, დავალებული აქვს ასევე დამკვეთისთვის მშენებლობის ნებართვის დოკუმენტის აღება.

ობიექტის მისამართია მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირი „შევარდენი"-ს სტადიონისა და ბოგდან ხმელნიცკის ქ. #147ᵃ მიმდებარედ, გეოგრაფიული კოორდინატებია:

X= 488178; Y= 4613223; X= 488669; Y=4613141.

განზომილებები: სიგრძე 525 მეტრი, სიმაღლე 11,80 მეტრი, სიგანე - საძირკველი 7X1,2 მ, შუა ტანი 4X0,7; 4X1 მ, თავი 2,2X0,4 მეტრი, მოცულობა 8526 $მ^2$.

მშენებლობის ნებართვის აღების მიმდინარე პროცედურების ფარგლებში, ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტო ითხოვს საქართველოს გარემოსა და ბუნებრიოვი რესურსების დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას საყრდენი კედლის მოწყობასთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას შემდგომი რეაგირებისა და ქონების მართვის საქაგენტოში წარსადგენი პოზიციის შესამუშავებლად. დანართი 5 გვ.

პატივისცემით,
დირექტორი ივანე დგებუაძე

№ 13234
"12" 11 2018